პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ იანვარი, 2025 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „აჭარის რეგიონალური საავტომობილო ფედერაცია“- სათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს მიერ გადმოცემული 1 (ერთი) ერთეული, მეორადი ZONDA BUS-ის მარკის ავტობუსის, შემდეგი მონაცემებით: სარეგისტრაციო ნომერი: DD782LL; გამოშვების წელი - 2009; საიდენტიფიკაციო ნომერი: LYJD6CFB09W000925; საბალანსო ღირებულებით: 14 410,85 (თოთხმეტი ათას ოთხას ათი ლარი და 85 თეთრი) ლარი, 2 წლის ვადით, ა(ა)იპ „აჭარის რეგიონალური საავტომობილო ფედერაცია“-სათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მომრავი ქონების ქონების ა(ა)იპ „აჭარის რეგიონალური საავტომობილო ფედერაცია“- სათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია ქონების ა(ა)იპ „აჭარის რეგიონალური საავტომობილო ფედერაცია“-ს წერილი (10/1424271402-14; 29.09.2024; და დაზუსტებული განცხადება N10/1425017608-14; 17.01.2025წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ ფედერაციასთან არსებული ავტოსკოლა ახდენს მძღოლების მომზადებასა და გადამზადებას, როგორც მსუბუქ და სატვირთო ავტომობილებზე, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის- სხვადასხვა ზომის ავტობუსებზე. ვინაიდან, ფედერაციას არ გააჩნია საკუთარი ავტოობუსი, ა(ა)იპ „აჭარის რეგიონალური საავტომობილო ფედერაცია“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას თხოვს 1 (ერთი) ერთეული, მეორადი ZONDA BUS-ის მარკის ავტობუსის შემდეგი მონაცემებით: სარეგისტრაციო ნომერი: DD782LL; გამოშვების წელი - 2009; საიდენტიფიკაციო ნომერი: LYJD6CFB09W000925; უსასყიდლოდ, 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, მოთხოვნილ ავტობუსთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“ გაეგზავნა წერილი (03-1424310599; 05/11/2024წ.), რომლის თანახმად შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტმა“ 2024 წლის 09 დეკემბრის ბრძანება N№10. 14243443 ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოსცა- მეორადი ZONDA BUS-ის მარკის ავტობუსი შემდეგი მონაცემებით: სარეგისტრაციო ნომერი: DD782LL; გამოშვების წელი - 2009; საიდენტიფიკაციო ნომერი: LYJD6CFB09W000925 და თავის მხრივ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა, ქ. ბათუმის მერის 2024 წლის 17 დეკემბრის ბრძანებით N№14.142435213 საკუთრებაში მიიღო ზემოაღნიშნული ავტობუსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ა(ა)იპ „აჭარის რეგიონალური საავტომობილო ფედერაცია“-ს უსასყიდლო, 2 წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მეორადი ZONDA BUS-ის მარკის ავტობუსი შემდეგი მონაცემებით: სარეგისტრაციო ნომერი: DD782LL; გამოშვების წელი - 2009; საიდენტიფიკაციო ნომერი: LYJD6CFB09W000925;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ა(ა)იპ „აჭარის რეგიონალური საავტომობილო ფედერაცია“- სათვის მეორადი ZONDA BUS-ის მარკის ავტობუსის გადაცემა ხელს შეუწყობს მძღოლების მომზადებასა და გადამზადებას.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელოება ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ მოახდენს

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ა(ა)იპ „აჭარის რეგიონალური საავტომობილო ფედერაცია“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის
სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**